

მრავალწლიანი საკვები ბალახები - იონჯა

ამ ბოლო დროს ფერმერები სულ უფრო ხშირად მოგვმართავენ საკვები ბალახებისა და განსაკუთრებით იონჯის მოვლა მოყვანის აგროტექნოლოგიისა და ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

გარდა იმისა რომ თივის ფასი მაღალია, და ფერმერთა შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მრავალწლიანი ბალახები აუმჯობესებენ ნიადაგის ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებს, ორგანული ნივთიერებებით ამდიდრებენ მას, ამაგრებენ ნიადაგს ფესვთა სისტემით და ხელს უშლიან ეროზიული მოვლენების განვითარებას, ელკანა მიესალმება მრავალწლიანი ბალახების წარმოების განვითარებას და გთავაზობთ ჩვენი ფერმერების გამოცდილებაზე დაყრდნობით მომზადებულ იონჯის მოვლა-მოყვანის დეტალურ ბიუჯეტს.

საკვები ბალახები

საკვები ბალახების ნათესები წარმოადგენენ პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს წყაროს. საკვები ბალახები გამოიყენება პირუტყვის საკვებად: ნედლი სახით, თივად, სასილოსედ, სენაჟად, თივის ფქვილად. მრავალწლიანი ბალახები საჭიროა კულტურული საძოვრების მოსაწყობად.

საკვები ბალახები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: მრავალწლიანი და ერთწლიანი. თითოეული ჯგუფი თავის მხრივ მოიცავს პარკოსან და მარცვლოვან ბალახებს.

საქართველოში გავრცელებული ძირითადი მრავალწლიანი საკვები ბალახებია: იონჯა, სამყურა, ესპარცეტი, კაპუეტა, უფხო შვრიელა, ტიმოთელა და სხვა.

იონჯა

სამეურნეო მნიშვნელობა. ყველა საკვები ბალახებიდან იონჯა გამოირჩევა დიდი მოსავლიანობით და მაღალი კვებითი ღირსებით. მისი ბალახის თივა შეიცავს 18% პროტეინს, 2,7% ცხიმს, 40%-მდე უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებას და 30%-მდე უჯრედანას.

იონჯისაგან დამზადებული ფქვილი თავის ღირსებით აღემატება ხორბლის ქატოს. მისი ბალახი და თივა მინერალური ნივთიერებებით და ვიტამინებით მდიდარია.

ბოტანიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი

იონჯა - ეკუთვნის პარკოსანთა ოჯახს და მოიცავს 50-მდე სახეობას. გვხვდება ერთწლიანი, ორწლიანი და მრავალწლიანი სახეები. მრავალწლიანი იონჯას ფესვის ყელიდან გამოაქვს მრავალი ღერო, რომლის სიმაღლე 70-100 სმ-ს აღწევს და მცენარეს ბუჩქისებრ სახეს აძლევს. ღერო ბალახოვანია, ძლიერ დატოტვილი, 10-20-მდე მუხლთშორისებით, უხვად შეფოთლილი. ფოთოლი რთულია, სამფოთოლაკიანი, ფოთოლაკები სხვადასხვა ფორმისაა - ელიფსური, კვერცხისებური, ლანცეტური ან მომრგვალო, წვეროს მხარეს დაკბილულია.

ყვავილი ორსქესიანია, მოკლე ყვავილსაჯდომით, გვირგვინის ფურცლები იისფერი, ლურჯი, ყვითელი, ცისფერი ან ჭრელი. იონჯა ჯვარედინდამამტვერიანებული მცენარეა, ყვავილის დამტვერვა ხდება მწერების საშუალებით. ნაყოფი – მრავალთესლიანი პარკია, რომელიც სპირალურად არის დაგრებილი ან ნამგლისებურად მოხრილია. თესლი წვრილია, ლობიოსმაგვარი მოყვანილობით, პირველად მომწვანო-მოყვითალო, შემდეგ კი მუქდება და მოყავისფრო ფერს იღებს. 1000 ცალი თესლის მასა 1-2,7 გ. ფესვთა სისტემა მთავარდერძიანია, კარგად განვითარებული, დატოტვილი, პირველსავე წელს ნიადაგში ჩადის 2-3 მ. სიღრმეზე, შემდეგ კი 5-8 მეტრს აღწევს, რაც აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას. იონჯის (ისევე, როგორც სხვა პარკოსანი კულტურების) ფესვებზე სახლდება ე. წ. კოჟრის ბაქტერიები რომლებსაც უნარი აქვთ უზრუნველყონ ნიადაგში აზოტის საჭირო ოდენობით დაგროვება, იონჯის 4-წლიანი ნარგავი სავეგეტაციო პერიოდში 1 ჰა-ზე 200 კგ-მდე აზოტს აფიქსირებს.

იონჯის მრავალი სახეობიდან სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ორ ძირითად სახეობას: სათესი იონჯა, რომელსაც ლურჯ იონჯას უწოდებენ და ყვითელი იონჯა

იონჯის სახეებს ერთმანეთისაგან არჩევენ გვირგვინის ფურცლების ფერისა და პარკების მოყვანილობით. სათეს იონჯას აქვს იისფერი ყვავილები, იშვიათად მოვარდისფრო ან თეთრი, მისი ნაყოფი დაგრებილია სპირალურად. ყვითელ იონჯას ყვავილი ყვითელი აქვს, პარკი კი მოხრილია ნამგლისებურად ან სწორია. სათესი იონჯა მრავალმოსავლიანია, გათიბვის შემდეგ სწრაფად იძლევა წამონაზარდს. წელიწადში კლიმატური პირობებისა და მორწყვის შესაძლებლობის მიხედვით იძლევა 2-5 განათიბს.

ყვითელი იონჯა უფრო დაბალი იზრდება 40-50 სმ; გვიან იძლევა წამონაზარდს, წელიწადში ერთ ან ორ განათიბს იძლევა. ყვითელი იონჯა მეტად გამძლეა ყინვებისა და გვალვებისადმი, ნაკლებად ზიანდება მავნებლებისა და დაავადებებისაგან, უფრო დიდხანს ცოცხლობს.

ბიოლოგიური თავისებურებანი – იონჯა დათესვის წელსვე იძლევა ყვავილს და თესლს, შეუძლია 5-6 წლის განმავლობაში მოგვცეს მოსავალი. იონჯა სითბოს მოყვარული მცენარეა. მაგრამ კარგად იტანს სიცივეებსაც. მას შეუძლია დაუზიანებლად გადაიტანოს -15-200C ყინვა, თოვლის საფარის ქვეშ უძლებს – 400C - მდე ყინვას.

წყლის მიმართ დიდი მოთხოვნილებისაა, კარგად იტანს გვალვებსაც და სიცხეებსაც, (400C-მდე). იონჯის თესლი გაღივებას იწყებს 2-3 0C სითბოს პირობებში, აღმონაცენს შეუძლია დაუზიანებლად გადაიტანოს 5-60C ყინვა, ეს საშუალებას იძლევა იონჯა დაითესოს ადრე გაზაფხულზე, წამონაზარდს იძლევა ნაადრევად, გათიბვიდან 40-45 დღის შემდეგ. ახალი ყლორტები აღმონაცენს იძლევა მაშინ, როცა ყვავილობის ფაზას აღწევს და კვლავ გასათიბი ხდება. იონჯა გრძელი დღის მცენარეა და სინათლის მოყვარულია. იგი მოსავალს იძლევა სხვადასხვანაირ ნიადაგებზე. რუხ და კირით მდიდარ სხვა ტიპის ნიადაგებზე. იონჯა მაქსიმალურ მოსავალს იძლევა დათესვიდან მეორე-მესამე წელს. თესლბრუნვაში. ჩაწოლისადმი გამძლეობა ძირითადად დამოკიდებულია ნიადაგის ნაყოფიერებაზე (რამდენადაც ნაყოფიერია ნიადაგი, იმდენად მეტად იცის იონჯამ ჩაწოლა)

იონჯის მწვანე მასის წარმოება 1 ჰა ფართობზე

საქმიანობების დეტალური ბიუჯეტი (ლარი)

რაიონი - მარნეული

გვერდი 2 3-დან

პირველი წელი:

#	აღწერა	განზომილება	ერთეულის ფასი	რაოდენობა /ჯერადობა	სულ
კვალიფიციური მუშახელი					
1	საშემოდგომო ხვნა	ჰა	140	1	140
2	კულტივაცია	ჰა	70	1	70
3	ფრეზირება	ჰა	100	1	100
4	თესვა	ჰა	70	1	70
5	მოტკეპნა	ჰა	70	1	70
6	სარწყავი კვლების (დიდი+პატარა) გაყვანა	ჰა	70	1	70
7	რწყვა	ჰა	50	3	150
8	თიბვა	ჰა	80	3	240
I	სულ კვალიფიციური მუშახელი				910
არაკვალიფიციური მუშახელი					
1	თესვა (ტრაქტორისტის დამხმარე)	კაც/დღე	20	1	20
II	სულ არაკვალიფიციური მუშახელი				20
მასალა და ტრანსპორტი					
1	იონჯის თესლი	კგ	16	18	288
III	სულ მასალა და ტრანსპორტი				288
IV	დანახარჯები				1 218
1	**მიწის გადასახადი				100
2	**წყლის გადასახადი				75

ყოველ მომდევნო წელს :

#	აღწერა	განზომილება	ერთეულის ფასი	რაოდენობა /ჯერადობა	სულ
კვალიფიციური მუშახელი					
1	რწყვა	ჰა	50	4	200
2	თიბვა	ჰა	80	4	320
I	სულ კვალიფიციური მუშახელი				520
	მიწის გადასახადი	ჰა	100	1	100
	წყლის გადასახადი	ჰა	75	1	75

** მიწისა და წყლის გადასახადი (რაიონებისა და ნიადაგის ხარისხის მიხედვით) განსხვავებულია.